ხაშურის მოამბე

№35 (166) 3 სექტემბერი, ორშაბათი, 2018 წელი

სტიქია თავს არ გვანებებს

რაღაც ფატალური „უიღბლობა" ჭირს ჩვენს მუნიციპალიტეტს - უკანასკნელი წლებია, სტიქიამ არცერთი წელი არ „ჩააგდო" და სხვადასხვა სახით გვახსენებს თავს. პატარა მდინარეებს თუ ღელეებს პერიოდულად ისე გადარევს ხოლმე, რომ ასიათასობით ლარის ზარალი მოაქვს, რასაც, სამწუხაროდ, არც ადამიანური ტრაგედიები აკლდა. სტიქიის პირველი დიდი შემოტევა 2011 წელს დაიწყო, როდესაც მოწმენდილ ცაზე სურამულა გაგიჟდა და 9 ადამიანის სიცოცხლე შიწირა. მის შემდეგ, პრაქტიკულად, არ დარჩენილა პატარა მდინარეები, რომლებსაც მცირედით მაინც არ შეუხსენებიათ თავი. წელს, პირველივე დეკადაში გამოაჩინა თავისი მსახვრალი ხელი (შოლას ადიდება) და აგვისტოს ბოლომდე, თითქოს მიწყნარდა. მაგრამ სად ვყოფილვართ? გერ, 29 აგვისტოს, სრულიად განსხვავებული სახით წარმოგვიდგა – მასიური ხანძარი დაგვატყდა თავზე.

29 აგვისტო. დაახლოებით 13-14 საათზე 112-ში ზარი გაისმა. შეტყობინება, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ხანძრის კერიდან, დაახლოებით, 20-22 კილომეტრის მოშორებიდან, მტკვრის გაღმა მხრიდან, ღორინამკლის მიდამოებიდან შევიდა. ტურისტულმა ჯგუფმა, რომელიც ამ პატარა „მწვერვალის" დასალაშქრად ემზადებოდა, მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთით დიდი დაკვამლიანება შეამჩნია. 112-დან უკვე ყველა საჭირო მიმართულებით გაიცა შეტყობინებები და ერთ საათში უკვე განგაშის ზარი მთელს საქართველოს მოედო – სოფელ ცოცხნარიდან 10-12 კილომეტრში, ცედნის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, ტყის მასივი იწვოდა. პირველ წუთებში, იყო ვარაუდი, რომ ხანძრის მასშტაბები არ იყო დიდი და მასთან ადგილობრივი ძალებითაც შეიძლებოდა გამკლავება, მაგრამ ადგილზე მისულმა პირველმა თვითმხილველებმა სასწრაფოთ მაშველთა დიდი ჯგუფის ჩართვა მოითხოვეს. უსწრაფესად მოხდა რეაგირებაც. მოკლეს ვადებში ადგილზე იყო 200-მდე მეხანძრე-მაშველი. მათ შეუერთდათ სატყეო სააგენტოს ათეულობით თანამშრომელი, ბოლოს კი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 30 კაციანი შემადგენლობაც. განსაკუთრებულ სირთულეს რელიეფი ქმნიდა, რომელიც, პრაქტიკულად, მიუვალია მძიმე ტექნიკისათვის, მის გარეშე კი შეუძლებელი იყო ამხელა ხანძარის გამკლავება. სირთულის დაემატა საკმაოდ დიდი ქარიც, რომელიც ხანძრის ახალ-ახალ კერებს აჩენდა.

ადგილზევე შეიქმნა საგანგებო შტაბი, რომელმაც შემუშავებული სტრატეგიული გეგმით დაიწყო სტიქიასთან გამკლავება. შიდა ქართლის გუბერნატორი გორგი ხოჯევანშვილი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი შალვა ხუციშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძვანელი თორნიკე გვაზავა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ადგილზე იღებდნენ ყველა გადაწყვეტილებას.

თორნიკე გვაზავა (ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი): ტყეში, სადაც ხანძარი გაჩნდა, ძირითადად, წიფლის ჯიშის ხე-მცენარეებია გავრცელებული. ურთულესი რელიფია. სადამდეც შესაძლებელია ტექნიკა მიდის, შემდეგ კი ცოცხალი ძალა მუშაობს...

გიორგი ხოჯევანიშვილი (შიდა ქართლის გუბერნატორი): ჩვენი უპირველესი ამოცანა იყო ხანძარი დასახლებული პუნქტებიკენ არ გავრცელებულიყო, რაც, ურთულესი სამუშაოების შემდეგ, მოხერხდა კიდეც. ახლა ვცდილობთ, ტექნიკა რაც შეიძლება მივუახლოვოთ ხანძრის ძირითად კერას, რაც ბევრად გააავილებს საბოლოო შედეგს...

(დასასრული V გვერდზე)

ახალ სასწავლო წელს სკოლები სიახლეებით ხვდება - რა იცვლება სექტემბრიდან?

ახალ სასწავლო წელს სკოლები სიახლეებით ხვდება - რა იცვლება სექტემბრიდან? 2018-2019 სასწავლო წელს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო სკოლებში ცვლილებებს გეგმავს. ცვლილება ძირითადად, 1-ელ მე-6 კლასებს შეეხება და მოსწავლეთა შეფასებას, საგაკვეთილო დროს, უცხოურ ენებს მოიცავს.

უფრო კონკრეტულად, რა სიახლეებს გეგმავს უწყება სკოლებში სექტემბრიდან და რა შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ საკითხებზე განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი მარიამ ჩიქობავა საუბრობს.

- 2018-2019 სასწავლო წლიდან განათლების სამინისტრო ცვლილებებს გეგმავს. რომელ კლასებს შეეხება ძირითადად, ეს ცვლილება?

- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით, 2018-2019 სასწავლო წელს სიახლეები ძირითადად დაწყებით საფეხურს - პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით მოსწავლეებს შეეხებათ. ეს ეხება შეფასების სისტემას, გაკვეთილების ხანგრძლივობას, საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების გაძლიერებას, უცხოურ ენას და ა.შ.

- მოსაწავლეთა შეფასების სისტემაში რა ცვლილებები იგეგმება?

- 1-ელ მე-4 კლასებში ახლა მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმითაც ქულით შეფასება არ ხდება, არის მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. მაგრამ შეიცვალა ის, რომ მე-5 კლასის პირველ სემესტრშიც მოსწავლე ქულით არ შეფასდება. როგორც იცით, 1-ელ მე-4 კლასებში ძირითადად ერთი მასწავლებელი ასწავლის რამდენიმე საგანს, ბავშვები მიჩვეულები არიან კლასის მასწავლებელს, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, დამრიგებელიცაა; მე-5 კლასიდან კი შემოდიან სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, შემოდის ნიშნების წერის სისტემაც, იქმნება განსხვავებული სასწავლო გარემო. ისე ხდება, რომ თუ მასწავლებელმა უმაღლესი შეფასება არ დაუწერა, ბავშვები ვერ ხვდებიან, რატომ მიიღო მაგალითად, 9-იანი, რომელიც ასევე მაღალი ქულაა და არა 10-ანი - ეს კი ბავშვებისთვის სტრესია. ამდენად, მე-5 კლასის პირველი სემესტრიდან ქულებით შეფასების ამოღების გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ არ მიგვიღია; ამასთან დაკავშირებით კონსულტაციები დირექტორებთან და პედაგოგებთან გავიარეთ. მათ დაგვიდასტურეს, რომ ბავშვებისთვის ნიშნების წერის სისტემაზე გადასვლა სტრესული იყო, ამიტომ ზოგიერთი დირექტორის გადაწყვეტილებით, მასწავლებლები პირველი სამი კვირის განმავლობაში ნიშნებს ისედაც არ წერდნენ. ამდენად, გავიზიარეთ სკოლების ინიციატივა, რომ პირველ სემესტრში ნიშნები არ დაწერილიყო, მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთს შეჩვეოდნენ და შემდეგ გადავსულიყავით ქულებით შეფასებაზე.

გარდა ამისა, საშინაო დავალებების მხრივ გვქონდა ისეთი სიტუაცია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დიდი ოდენობით დავალების მიცემა ხდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ საგაკვეთილო პროცესზე მოსულიყო მეტი დატვირთვა, ამიტომ გადავწყვიტეთ 1-ელ მე-6 კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში ნიშანი საერთოდ არ დაიწეროს. ნიშანი დაიწერება საკლასო აქტივობებში, შემაჯამებელ დავალებებში, მაგრამ საშინაო დავალება იქნება მომზადება გაკვეთილისთვის. რაც შეეხება სემესტრულ და წლიურ შეფასებას, ჩვეულებრივ შეფასდებიან მოსწავლეები, როგორც აქამდე ხდებოდა.

- გარდა ამისა, ცვლილება იგეგმება უცხოური ენის სწავლების მიმართულებითაც. კონკრეტულად, რას მოიცავს ეს ცვლილება და ვის შეეხება?

- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, უცხოური ენის სწავლება დაიწყება პირველი კლასის მეორე სემესტრიდან. მართალია, ბავშვების ნაწილი მომზადებული მოდის სკოლაში, მაგალითად, იცის ანბანი, ელემენტარული არითმეტიკული მოქმედებები, მაგრამ რადგანაც ჩვენთან სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის, 1-ელი კლასი ითვლება საანბანე პერიოდად, ამიტომ ვფიქრობთ, სანამ ქართულ ანბანს სწავლობენ ბავშვები, მანამ უცხოური ენა არ შემოვიტანოთ. მივიღეთ გადაწყვეტილება უცხოური ენა შემოვიდეს პირველი კლასის მეორე სემესტრიდან. თუმცა, აქაც ხაზგასასმელია, წამყვანი ზეპირი მეტყველების განვითარება იქნება.

რაც შეეხება მეორე უცხოურ ენას, სკოლისთვის სავალდებულოა მინიმუმ ორი უცხოური ენის შეთავაზება და აქედან ერთი აუცილებლად ევროპული ენა უნდა იყოს. ხშირად არ აქვთ მშობლებს ინფორმაცია, რომ არსებობს ამგვარი შესაძლებლობა. ვთხოვეთ სკოლებს, რომ მშობლებისთვის კარგად განემარტათ, რომ მათ შეუძლიათ არჩევანი გააკეთონ სხვადასხვა ენას შორის. მაგალითად, არის სკოლები, სადაც წლებია მეორე უცხოური ენა რუსულია, იშვიათად, გერმანული. თუ მსურველი მოსწავლეების გარკვეული რაოდენობა შეიკრიბება, შეუძლიათ ახალმა თაობამ განსხვავებული უცხოური ენის სწავლა დაიწყოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლაში მეორე უცხო ენა რუსული იყო წლების განმავლობაში. ეს არ ნიშნავს რუსული ენის ამოგდებას, რუსული რჩება ერთ-ერთ უცხო ენად და ის საკმაოდ მოთხოვნადია, მაგრამ იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა მომავალში ხარისხიანი განათლება მიიღონ, ევროპული ენების აკადემიურ დონეზე სწავლებას უნდა შევუწყოთ ხელი.

- რაც შეეხება ჯგუფების ჩამოყალიბებას ენის ფლობის დონეების მიხედვით, რომელი კლასებიდან აპირებთ ასეთი ჯგუფების ჩამოყალიბებას და რამდენი ასეთი დონე შეიძლება იყოს?

- საერთოდ, სკოლას ორ საგანში შეუძლია გაყოს კლასი - ქართულ ენასა და ლიტერატურაში და უცხოურ ენებში. ამასთან, მასწავლებელს შეუძლია უცხოურ ენაში მოსწავლეთა ენის ფლობის დონეები გაითვალისწინოს. რომელი კლასიდან და როგორ დააჯგუფებს ბავშვებს, ამაზე სკოლამ და მასწავლებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. შესაძლებელია ისიც, რომ თუ ორი პარალელური კლასია, აქედან ოთხი განაყოფი გააკეთოს და დონეების მიხედვით დააჯგუფოს ბავშვები. აქ ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ბავშვებს არ ვყოფთ ძლიერ და სუსტ მოსწავლეებად, არამედ ენის ფლობის დონის მიხედვით ხდება მოსწავლეთა დაყოფა.

- ეხება თუ არა ცვლილება პარალელურ კლასებს? მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმით, თითო კლასში 18 ბავშვი უნდა იყოს, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით ასევე შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება და 15 მოსწავლით ჯგუფის განსაზღვრა. გვაქვს თუ არა სიახლე ამ მიმართულებით და რამდენი მოსაწავლე უნდა იყოს თითო კლასში.

- ამ მუხლში ცვლილება არ გვაქვს. მოსწავლეთა რაოდენობა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმითაც ასევეა განსაზღვრული.

- რაც შეეხება ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობას, მაქსიმალური რაოდენობა ახლა განსაზღვრულია 30 მოსწავლით. თუმცა, 2018 წლის 15 სექტემბრიდან ეს პუნქტი ძალადაკარგულად ითვლება. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით რამდენი მოსწავლით შეიძლება განისაზღვროს ჯგუფი?

- 2014-2015 სასწავლო წლამდე ვინც იყვნენ მოსწავლეები ჩარიცხული, ჯგუფის მაქსიმალური რაოდენობა 30 მოსწავლით განისაზღვრა და გამონაკლის შემთხვევაში 35-ს არ უნდა აჭარბებდეს. 35 მოსწავლიანი კლასები მილევად რეჟიმშია და ცოტა ხანში აღარ იქნება, რადგან 2014-2015 სასწავლო წლის შემდეგ ვინც ჩაირიცხა, მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა შემცირდა და 25-ით განისაზღვრა. აქაც შეიძლება გამონაკლისის დაშვება და ჯგუფის მაქსიმუმ 29 მოსწავლით დაკომპლექტება, თუმცა ეს გამონაკლისიც დასაბუთებული უნდა იყოს.

- რაც შეეხება მცირეკონტინგენტიან სკოლებს, სადაც 1-2 მოსწავლეა კლასში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შესაძლებელია კლასკომპლექტების შექმნა. რა იგულისხმება ამაში და რამდენი მოსწავლე შეიძლება იყოს კლასკომპლექტში?

- კლასკომპლექტში შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ 10 მოსწავლე და შესაძლებელია გაერთიანდეს ორი კლასის მოსწავლეები. მაგალითად, 1-ელი და მე-3 ან მე-2 და მე-4 კლასის მოსწავლეები ერთ კლასში. არ არის აუცილებელი, რომ ყველა საგანში გაერთიანდნენ ეს ბავშვები. მაგალითად, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილზე შესაძლებელია რამდენიმე კლასის გაერთიანებაც, ასევე ხელოვნების გაკვეთილზე. ეს თვითონ სკოლამ უნდა გადაწყვიტოს, რა არის საჭირო, როგორ დაგეგმოს და განახორციელოს. თუ სწორად მოხდება პროცესის დაგეგმვა და დარეგულირება, შესაძლებელია, რომ უფროსკლასელები ჩაერთონ უმცროსკლასელების განათლების პროცესში. პროცესის სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მერწმუნეთ, ასეთ კლასკომპლექტში გაცილებით მეტადაა შესაძლებელი ინდივიდუალური მიდგომა, ვიდრე, 35-მოსწავლიან ჯგუფში. კლასკომპლექტები აქამდეც იყო, მაგრამ მასში მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 15-დან 10-მდე, სიახლე ეს არის. ასეთი კლასკომპლექტები ძირითადად, მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება.

- რაც შეეხება დამრიგებლებს, რა ფუნქციით რჩება დამრიგებელი კლასში, იცვლება თუ არა მისი ფუნქციები და შესაძლებელია თუ არა კლასს დამრიგებელი არ ჰყავდეს?

- კლასს აუცილებლად უნდა ჰყავდეს დამრიგებელი და ის აუცილებლად უნდა იყოს იმავე სკოლის პედაგოგი. თუმცა, შესაძლებელია მცირეკონტინგენტიან სკოლებში ორ კლასს ერთი დამრიგებელი ჰყავდეს. ასეთ სკოლებში ერთადერთი რეკომენდაციაა, რომ ერთ დამრიგებელს არანაკლებ 10 მოსწავლე ჰყავდეს.

- გაკვეთილების ხანგრძლივობის მიმართულებითაც იგეგმება სიახლეები...

- დიახ, გაკვეთილების ხანგრძლივობა მე-2 კლასში 5 წუთით შემცირდა და ნაცვლად 45 წუთისა, 40 - წუთიანი გახდა; პირველ კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობა განსაზღვრულია 35 წუთით, მე-2 კლასში - 40 წუთით, ხოლო მე-3-მე-12 კლასებში - 45 წუთით. გარდა ამისა, პირველ კლასში აუცილებელია გაკვეთილის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ მასწავლებელმა ბავშვები ფიზიკური აქტივობით გაავარჯიშოს, რადგან პირველკლასელებს განსაკუთრებით უჭირთ დიდხანს ერთ ადგილას ჯდომა, ამიტომ მათთვის განსხვავებული ფორმის აქტივობების შეთავაზება აუცილებელია.

- რაც შეეხება კონკრეტულ საგნებს, ამ მიმართულებით რა სიახლეები იგეგმება?

- ქართულ ენასა და ლიტერატურაში გვაქვს სიახლე. ცალკე გამოიყო ენის კომპონენტი მე-5, მე-6 კლასებში. გაკეთდა ჩანაწერი, რომ პედაგოგს შეუძლია ცალკე საათები დაუთმოს გრამატიკას. წინა თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ამაში არ ზღუდავდა პედაგოგებს, თუმცა, მათი მოთხოვნით მაინც გაკეთდა ამგვარი ჩანაწერი. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავუკონკრეტებთ, რამდენი საათი დაეთმობა ლიტერატურას და რამდენი - ენას, ეს ცალსახად მასწავლებლის გადასაწყვეტია. მაგალითად, კვირაში თუ 5 საათია ქართულ ენასა და ლიტერატურაზე გამოყოფილი, შესაძლებელია ენა სრულად ინტეგრირებული იყოს ლიტერატურასთან, მაგრამ ასევე შესაძლებელია ცალკე საათი დაეთმოს მას, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს.

- განათლების სამინისტრო მოსწავლეთა შეფასების ცვლილებას მე-10-მე-12 კლასებშიც გეგმავდა, თუ არის ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი და როდის ამოქმედდება?

- ეს ყველაფერი არის ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის ნაწილი, ამ

(დასასრული III გვერდზე)

ახალ სასწავლო წელს სკოლები სიახლეებით ხვდება - რა იცვლება სექტემბრიდან?

(დასასრული)

ეტაპზე დამტკიცებულია სწავლა-სწავლების პროცესის ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხების ნაწილი, დამტკიცებულია 1-ელი-მე-6 კლასების საგნობრივი სტანდარტები, რომელთა დანერგვა წელს იწყება, ასევე დამტკიცებულია საბაზო საფეხურის სტანდარტები და წლიური პროგრამები, რომელიც მომდევნო სასწავლო წელს, 2019-2020 წლიდან დაინერგება. ამჟამად მიმდინარეობს საშუალო საფეხურის რევიზია, რომელიც 2020-2021 წლიდან დინერგება. მომდევნო წლების სიახლეებზე მოგვიანებით ვისაუბროთ, თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ მაღალ საფეხურებზეც მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება.

- აუცილებლად უნდა გკითხოთ საერთაშორისო კვლევების საგანგაშო შედეგებზე. მაგალითად, 9-10 წლის მოსწავლეების 14 პროცენტს წაკითხულის გააზრება უჭირს, 42 პროცენტი კი ზღვარზეა. როდესაც ვსაუბრობთ მოსწავლეთა განვითარებაზე, სახელმძღვანელოებში ცვლილებებზე და ა.შ. რამდენად არის ახლანდელი სახელმძღვანელოები მორგებული ამ შედეგის გამოსწორებაზე და რა ხარვეზები რჩება?

- ნამდვილად, მოსწავლეთა შედეგები არის საშუალოზე ქვემოთ, დაბალი შედეგები გვაქვს არა მარტო საერთაშორისო კვლევებით, სამინისტროს მიერ ჩატარებული სახელმწიფო შეფასებითაც, რომელიც ამოწმებს ეროვნული სასწავლო გეგმა როგორ სრულდება და ინერგება. აქაც დაახლოებით მსგავსი სურათია. განსხვავებული შედეგები გვაქვს ქალაქის და სოფლის სკოლებს შორის ასევე, საჯარო და კერძო სკოლებს შორის. განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა ეთნიკური უმცირესობების სკოლებში, სადაც 1-ელი-მე-6 კლასების გარდა ეროვნული სასწავლო გეგმა არ დანერგილა. 2011-2018 წლების გეგმაც კი, რომელიც ახლა იცვლება, ამ სკოლებში საბაზო-საშუალო საფეხურებზე არ იყო დანერგილი.

- რა იყო ამის მიზეზი?

- ბევრი მიზეზი იყო, მათ შორის, სახელმძღვანელოების თარგმნის პრობლემა, მასწავლებლების მომზადება და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი პირდაპირ ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე გადავლენ.

- ეს პრობლემები რჩება თუ უკვე გადამზადებულები არიან პედაგობები და ნათარგმნია სახელმძღვანელოები?

- პრობლემა რჩება, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება სახელმძღვანელოების თარგმნა და მასწავლებლების გადამზადება. მოგეხსენებათ, ჯერ კიდევ არ არის დასრულებული 1-ელი-მე-6 კლასების სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა მომდევნო სასწავლო წლიდან დაინერგება დაწყებითი საფეხური არაქართულენოვან სკოლებში,. 1-ელი-მე-6 კლასების სახელმძღვანელოები, რომლებიც გრიფირებით შეირჩევა, მომდევნო წლისთვის ითარგმნება და ახალი სახელმძღვანელოებით შევა არაქართულენოვან სკოლებში. ამას უნდა მიყვეს საბაზო და საშუალო საფეხურებიც.

- რაც შეეხება წიგნების წონას, ვიცით, რომ იცვლება 1-ელი-მე-6 კლასების სახელმძღვანელოები და გრიფირების პროცესის პარალელურად ყოველთვის იყო საუბრები იმაზე, რომ სახელმძღვანელოების წონა შემცირდებოდა. რა სიახლე გვაქვს ამ მიმართულებით? შემცირდა თუ არა წონა? ან გაიყოფა თუ არა 1-ელი და მეორე სემესტრის სასწავლო წიგნი?

- ზუსტად ვიცი, რომ ამ მიმართულებით მუშაობდნენ და წიგნის წონა ერთ-ერთი მოთხოვნა იყო გრიფირების პროცესში და წონა მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ არ ვიყავი პროცესში ჩართული, კონკრეტულად ვერ გეტყვით რამდენითაა შემცირებული.

- ასევე საუბარი იყო გაკვეთილების რაოდენობის შემცირებაზეც. ამ მიმართულებით რა სიახლე გვაქვს?

-1-ელი-მე-6 კლასებში გაკვეთილების რაოდენობა ისედაც არ არის ბევრი. მე-6 კლასელს მაქსიმუმ 3-ჯერ აქვს 6 გაკვეთილი კვირის განმავლობაში. თუმცა, განსხვავებული ვითარება იყო საბაზო საფეხურზე, სადაც ბადე გადატვირთული გვქონდა. ვფიქრობ, შესაძლებელია რაოდენობის შემცირება. საშუალო საფეხურზეც მიდის რევიზია და აქაც იქნება გაკვეთილების რაოდენობის შემცირება გათვალისწინებული.

- მასწავლებლების ნაწილს შენიშვნები ჰქონდა ელექტრონულ ჟურნალთან დაკავშირებით. მათი თქმით, ელექტრონული ჟურნალი რთული შესავსებია, დიდ დროს საჭიროებს, ამიტომ ძირითად შემთხვევაში ისინი ამ ჟურნალს არ ავსებდნენ. რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება ამ მიმართულებით? შესაძლებელია ელექტრონული ჟურნალი გაუქმდეს?

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მუშაობს ელექტრონული ჟურნალის განახლების მიმართულებით. მომზადებულია გარკვეული ვერსია. მთავარი პრინციპი ის არის, რომ ჟურნალი მოსახმარად უნდა იყოს მარტივი, დაზოგოს პედაგოგის დრო. ვფიქრობ, რომ ელექტრონულ ჟურნალს ალტერნატივა არ აქვს, მისი გაუქმება არ იგეგმება. ელექტრონული ჟურნალი თავიდან აგვარიდებს ასევე ბევრ შეცდომას, რასაც ახლა საკმაოდ ხშირად უშვებენ; მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლე მედალზე წარადგინეს, თუმცა, შეფასება არასწორად იყო გამოყვანილი, შემაჯამებელი შეფასება აკლდა და ა.შ. ათობით განაცხადის განხილვა გვიწევს ყოველწლიურად, რომ მოსწავლე მედლის გარეშე დარჩა, ან „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ბენეფიციარი ვერ გახდა. ელექტრონულმა ჟურნალმა უნდა ჩაანაცვლოს ქაღალდის ჟურნალი. ელექტრონული ჟურნალი კარგი საშუალება იქნება მშობლისთვისაც, რათა მას ონლაინრეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე, რას აკეთებს მისი შვილი სკოლაში, რა პრობლემები და მიღწევები აქვს. ელექტრონული ჟურნალის სისტემა კარგად არის დანერგილი კერძო სკოლებში, მაგრამ არა საჯარო სკოლებში. თუმცა, სრულად როდის ჩაანაცვლებს საჯარო სკოლებში ელექტრონული ჟურნალი სამაგიდო ჟურნალს, ამის თქმა გამიჭირდება.

- გარკვეული ცვლილებები იგეგმებოდა სპორტის გაკვეთილების რაოდენობის მიმართულებითაც. საბოლოოდ რაზე შეჯერდით?

- სპორტის გაკვეთილებს 1-ელ და მე-4 კლასში დავამატეთ 1 საათი იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია ამ ასაკში ფიზიკური აქტივობით ბავშვების დატვირთვა. გარდა ამისა, შეზღუდვა დავაწესეთ, რომ სპორტის გაკვეთილებს სკოლები თვითნებურად ვერ მოაკლებენ საათებს. აქამდე ისე ხდებოდა, რომ სპორტის, მუსიკის, ხელოვნების გაკვეთილებს 25%-ის ფარგლებში აკლებდნენ საათებს და სხვა საგანს ემატებოდა სკოლის გადაწყვეტილებით. მაგრამ ახალი შეზღუდვით, ეს ვეღარ მოხდება, არგუმენტირებული დასაბუთების გარეშე. სხვა არის ინფრასტრუქტურული საკითხი, როცა დარბაზი ფიზიკურად არ არის სკოლაში, ან მხოლოდ ერთი დარბაზია და ბავშვების რაოდენობა გაცილებით მეტია, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მივცეთ უფლება, სპორტის გაკვეთილებს მოაკლონ საათი. თუმცა, დარბაზების განახლების კუთხითაც ყოველ წელს პროგრესი გვაქვს, ემატება ახალგარემონტებული სკოლები, სივრცეები, ინვენტარი და ა.შ.

ექვსი თვის მუშაობის ანგარიში

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიებმა განიხილეს ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისისა“ და მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსაურის 6 თვის მუშაობის ანგარიშები. დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ორივე ზემოაღნიშნულ ანგარიშს.

ზედამხედველობის სამსახური

2018 წლის იანვრიდან ამავე წლის აგვისტომდე პერიოდში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობა:

2018 წელს, სამართალდარღვევათა პრევენციის და გასატარებელ ღონისძიებათა მიზნით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა ეტაპობრივი შემოწმება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ხაშურის და დაბა სურამის შოთა რუსთაველის, ზაქარია ფალიაშვილის, დავით აღმაშენებლის და სხვა ცენტრალური ქუჩებზე. რის შესაბამისადაც, გაფრთხილებული იყვნენ მოქალაქეები საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-თ გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევათა შესახებ, აგრეთვე, შსს ხაშურის სამმართველოს პოლიციასთან ერთად, ხშირად ხორციელდებოდა ხაშურის ცენტრალური

ქუჩების ტროტუარების (რუსთაველის და იმერეთის ქუჩები) გათავისუფლება გარე მოვაჭრეებისაგან.

მოქალაქეებს განემარტათ არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის ზედამხედველობის განხორციელების შესახებ, სამშენებლო საქმიანობაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში, მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ მითითების გაცემის წესის, სამშენებლო ნორმების და სხვა

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

ნორმატიული დოკუმენტაციის მოთხოვნების დარღვევით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-თ გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შესახებ.

ექვსი თვის მუშაობის ანგარიში

ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ თანახმად, საქმის წარმოებას მითითების ან შემოწმების აქტის გაცემით იწყებს, რის შესაბამისადაც, 2018 წელს, ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან სულ გაცემული არის სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტზე 11 მითითება, ხოლო სამშენებლო სამართალწარმოება დაიწყო 16 შემოწმების აქტით, რაზედაც გატარდა კანონით გათვალისწინებული საჯარიმო ღონისძიებები.

მიმდინარე მშენებლობებზე და დასრულებულ მშენებლობებზე, რომელშიც გამოვლინდა სამშენებლო სამართალდარღვევა ზედამხედველობის სამსახურის მხრიდან განხორციელდა კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობები და მოქალაქეებს დაეკისრათ საჯარიმო სანქციები, რის საფუძველზეც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში საჯარიმო სანქციებით 2018 წელს შემოსულია 2 750 ლარი.

პრევენციის მიზნით, პროექტებს, რომელთაც მშენებლობის ნებართვის ვადები უმთავრდებათ ვადის დასრულებამდე 2 თვით ადრე, გაეგზავნათ გაფრთხილებები, რომ თვალყური ადევნონ მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებს, რათა მათ მიმართ მშენებლობის ვადის გაშვებამ არ გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება.

ზედამხედველობის სამსახურის მიერ, 2018 წელს, ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 79 მშენებლობადამთავრებული ობიექტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების და მატერიალ-ურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ განხორციელებულ შესყიდვებს ზედამხედველობის სამსახური უწევს ინსპექტირებას (მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის წევრები არიან ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტები).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, 2018 წლის აგვისტომდე, შედგა 6 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი, ხოლო 1 ოქმი შედგა ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევის ფაქტზე, რომლებიც განსახილველად გადაეცა სასამართლოს.

ტურისტული სეზონის დაწყებამდე ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელს დაიწყო ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარედ არსებული უსახური შენობების მესაკუთრეების (მფლობელები) გაფრთხილება და გატარდა შემდეგი ღონისძიებები: კერძოდ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ აღრიცხულია 71 უსახური ობიექტი, რომელთაც ესაჭიროებოდათ სარემონტო ან სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება. ჩვენს მიერ აღრიცხულ შენობებს უკვე ჩაუტარდა სარემონტო (ღებვითი) სამუშაოები, დემონტაჟი ჩაუტარდა 13 ობიექტს (11 თონე, 1 ყოფილი რესტორანი, 1 ჯიხური). 5 ობიექტზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ, მიმდინარეობს ხარჯთაღრიცხვის შედგენა სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ 2 ობიექტზე შესაძენია სამშენებლო ბადე. აგრეთვე შემოიღობა ჯართის შემგროვებელი პუნქტების (რაოდენობა 4 ობიექტი) ტერიტორია.

ოთარ მახარაშვილი,
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 დეკემბრის 122 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებებეს, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობის პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო დაფინანსება 1490200 ლარი.

ზემოთ აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაევალა ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს“, ხოლო მონიტორინგი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, პროგრამის დაფინანსება შეგვიმცირეს 50 000 ლარით. (დასუფთავება-30 000 ლარით, გარე განათების მოვლა-პატრონობა 20 000 ლარით) და მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 1440200 ლარი.

მიმდინარე წლის ექვს თვეში, პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე გახარჯული იქნა 788684,38 ლარი. აქედან, ხელფასებზე გაიხარჯა- 366759,37ლარი, საქონელსა და მომსახურეობაზე - 119528,1 ლარი, ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურეობაზე და მოვლა-შენახვასა და ექსპლუატაციაზე - 275662,37 ლარი, სპეცტანსაცმელსა და უნიფორმებზე - 4200 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელების მიზნით, ყოველდღიურად ქ. ხაშურში იგვება 48100 მ² დაბა სურამში 15500მ². თვეში ერთხელ ვახორვიელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას - 638000 მ²-ზე. ექვს თვეში, ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 46200 კბმ საყოფაცხოვრებო ნარჩენი და სავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზე მოგროვილი მონახვეტი.

დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებაზე, ექსვ თვეში, გაიხარჯა 478346 ლარი. აქედან ხელფასებზე - 257768,37 ლარი. საქონელსა და მომსახურეობაზე - 22087,91 ლარი . ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურეობაზე და მოვლა-შენახვაზე და ექსპლუატაციაზე -177975,87 ლარი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათების-მოვლა-პატრონობის პროგრამის განსახორციელებლად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, გამოყოფილია 254,2 ათასი ლარი. საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 86200 ლარს, საქონელი და მომსახურების მუხლში გათვალისწინებულია 188000 ლარი. მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე 12000 ცალი გარე განათების ლამპიონია (სანათია). ლამპიონებისა და სხვა ელექტრომასალის შესაძენად ჩატარებული იქნა ხუთი ტენდერი თანხით 88796 ლარის. შეძენილი იქნა 7504 ცალი სხვადასხვა სახის ლამპიონი. გარე განათების მოვლა-პატრონობაზე ექვს თვეში, გაიხარჯა 153248,22 ლარი. აქედან ხელფასებზე გაიხარჯა-42698,52 ლარი, საქონელსა და მომსახურეობაზე - 8752292 ლარი, ტრანასპორტის ტექნიკურ მომსახურეობაზე და მოვლა-შენახვასა და ექსპლუატაციაზე - 23026,78 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა პატრონობაზე, 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოწოფილია 300 000 ლარი. შიდა გზების შეკეთებისა და მოვლა პატრონობისათვის, ელექტრონული ტენდერის საშუალებით, შეძენილი იქნა ხრეში - 900 მ 3 და 1500 მ 3 ღორღი. 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის შიდა გზების შეკეთება მოვლა-პატრონობაზე გაიხარჯა 148839,57 ლარი. საიდანაც სახელფასო ხარჯი შეადგენს - 58043,08 ლარს, საქონელი და მომსახურების მუხლის დანახარჯებმა შეადგინა -16136,77 ლარი. ტრანასპორტის ტექნიკურ მომსახურეობაზე და მოვლა-შენახვასა და ექსპლუატაციაზე - 74659,72 ლარი.

2018 წლის ექვსთვეში საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 26275 ლარმი საიდანაც საწარმოს საჭიროებისათვის დაიხარჯა 22534,5 ლარი.

ნუკრი ცხოვრებაძე,
ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის“ დირექტორი

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ დაფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	530000	366000	896000
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	86200	188000	274200
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	144000	156000	300000
5	წყლის სისტემის ზედამხედველობა	20000	0	20000
	ჯამი	780200	710000	1490200

სტიქია თავს არ გვანებებს

(დასასრული)

გიორგი გურასპაშვილი (ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი): ჩვენი მუნიციპალიტეტი პირველივე წუთიდანვე ჩაება სამაშველო სამუშაოებში. ჩვენს ხელთ არსებული ტექნიკა ადგილზეა. საგანგებო შტაბის დავალებით, მაშველები სასმელი წყლით და საკვები პროდუქტებით მო-

ვამარაგეთ. ზად ვართ, ათეულობით მოხალისის მობილიზაციისათვის, თუმცა ჯერ-ჯერობით, ამის აუცილებლობა არ არის...

29-ში, არც ღამით შეწყვეტილა სამუშაოები. ძლიერი ქარი ახალ-ახალ კერებს აჩენდა. ამიტომ, მეორე დილით, საგანგებო შტაბმა უკვე ვერტმფრენის ჩართვა მოითხოვა ხანძრის სალიკვიდაციო სამუშაოებში. გადაწყდა, ვერტმფრენის წყლით მომარაგება სურამის ხელოვნური ტბიდან მომხდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი სიღრმე არ იყო საკმარისი ამ ოპერაციის შესასრულებლად. ვერტმფრენი იძულებული გახდა ახალსოფლის ხელოვნური ტბიდან მომარაგებულიყო წყლით. იმ დღეს ათამდე რეისი შესრულდა. მეორე დღეს პრობლემა მოგვარდა –

სოფელ ოძისში აღმოჩნდა ხელვნური გუბურა, საიდანაც თავისუფლად შეიძლებოდა წყლით მომარაგება – ოძისი კი ძალიან ახლოსაა ხანძრის ეპიცენტრიდან.

31 აგვისტოს, საგანგებო შტაბიდან გავრცელდა ცნობა, რომ ხანძარი

კონტროლირებადია. ძლიერი კერები აღარ შეინიშნება, მთავარ პრობლემას კი დიდი დაკვამლიანება ქმნის, რომელიც ხილვადობასაც ამცირებს.

მეზობელმა მუნიციპალიტეტებმა მზადყოფნა გამოთქვეს დასახმარებლად. მათი მაშველთა ჯგუფებიც ჩაერთნენ საქმეში. და მზად არიან უფრო ფართო მასშტაბის მობილიზებაც მოახდინონ. თუმცა 31 აგვის-

ტოს, შუადღისათვის, ამას საჭიროება აღარ იყო.

ჩვენი გაზეთი ბეჭდვის სპეციფიკიდან გამომდინარე(გაზეთი დასაბეჭდათ პარასკევს იგზავნება თბილისში), სამწუხაროდ, დღეს მკითხველს ვერ ვაწვდით გუშინდელ და გუშინწინდელ ინფორმაციას, თუმცა საგანგებო შტაბიდან მოსული ბოლო მონაცემები გვაძლევს იმედს, რომ დღეს, როდესაც მკითხველი ამ ნომერს კითხულობს, ყველა პრობლემა უკან დარჩა და ხანძარი ლოკალიზებულია.

გ. გოგოლაძე

გიორგი მეხრიშვილი, ნოდარ ბუხრიკიძე და ზაურ დვალაშვილი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან

ჩვენი მკითხველი უკვე გაეცნო ხაშურში, 18-19 აგვისტოს, სამბოში, გელა გელაშვილის სახელობის ტურნირის შედეგებს, სადაც შესანიშნავად იჭიდავეს იორგი მახარაშვილმა (48კგ), ნოდარ ბუხრიკიძემ (65კგ) და ზაურ დვალაშვილმა (81კგ.). მათ შესაბამის წონებში არავის დაუთმეს პირველობა და ტურნირის ჩემპიონები გახდნენ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტურნირი ე.წ. დასაყენებელი ჩემპიონატი გახლდათ, რომელსაც ის სპორტსმენები უნდა გამოევლინა, რომლებიც ოქტომბერში, თბილისში, საქართველოს სახელით, მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

მოპოვებულმა ჩემპიონობამ ჩვენს სამ სპორტსმენს ავტომატურად გაუხსნა გზა ნაკრებისაკენ. დარჩენილ პერიოდში, სამივე ნაკრებთან ერთად გაივლის შეკრებას. ოქტომბრის დასაწყისში კი, თუ მათ შესანიშნავ ფორმას გავითვალისწინებთ, სამივესაგან მედლებს ველით. იმედია, ეს მედლები უმაღლესი სინჯის იქნება.

მაშ ასე, დაველოდოთ ამ თარიღს და წარმატება ვუსურვოთ ჩვენ ბიჭებს მსოფლიო ჩემპიონატზე.

ნიკა ლომისძისაგან ახალ წარმატებას ველით

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობის მოყვარულთათვის ნიკა ლომიძის სახელი უკვე კარგადაა ცნობილი. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მან საკმაოდ ხელშესახებ წარმატებას მიაღწია და საართველოს ნაკრებშიც(ახალგაზრდული) კუთვნილი ადგილი მიიღო. მხოლოდ მიმდინარე წელს, მან საქართველოს ჩემპიონატში და ყაზახეთში და რუმინეთში ჩატარებულ ტურნირებში ისახელა თავი. ახლა კი, ნაკრების შემადგენლობასი, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. 97კგ. წონით კატეგორიაში მას საკმაოდ მძლავრი კონკურენტები ჰყავს, მაგრამ, გვჯერა, მოლდოვეთიდან, სადაც 16-18 სექტემბერს ჩემპიონატი ტარდება, ნიკა მედლით მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდება.

გზა დავულოცოთ ამ ნიჭიერ სპორტსმენს და იმედი გამოვთქვათ, რომ მისი ჭიდაობით მთელი მუნიციპალიტეტი და საქართველო გაიხარებს.

ხაშურის თოჯინების თეატრში ერთმოქმედებიანი სპექტაკლების წარმოდგენა გაიმართა

კომედიური მინი პიესები ხაშურელ მაყურებელს ცნობილმა მსახიობებმა ლეო ანთაძემ, მედეა ლორთქიფანიძემ, ლადო ხელაშვილმა და ნათელა ლაიშვილმა წარმოუდგინეს.

მსახიობებმა მადლობა გადაუხადეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი გურასპაშვილს და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებს იმ მხარდაჭერისთვის, რასაც ისინი კულტურის სფეროს წარმომადგენლების მიმართ იჩენენ.

მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობამ მაყურებლის ოვაცია დაიმსახურა.

ერთმოქმედებიან სპექტაკლების წარმოდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. მაყურებლისთვის სპექტაკლზე დასწრება თავისუფალი იყო.

სტიქიამ უკან დაიხია

გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ხანძრის სალიკვიდაციო-საგანგებო შტაბიდან გვაცნობეს, რომ ხანძარი ლოკალიზებულია და მისი გავრცელების საშიშროება აღარ არსებობს,

D საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია, თავმჯდომარე ინეზა ელისაშვილი იუწყება ღვაწლმოსილი პედაგოგის ბატონ

რევაზ ქაფიანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს ოჯახს

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.